ბრძანება

27 ივლისი 2018 წ. თბილისი № 97/01

თსსუ-ის რექტორის 2018 წლის 17 ივლისის N 91/01 ბრძანებაში "2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ემუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, ,,სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესის'' მეორე მუხლის,"2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ" ბრძანებაში ცვლილების შეტანის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თსსუ-ის რექტორის 2018 წლის 17 ივლისის N 91/01 ბრძანებაში "2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ" შევიდეს ცვლილება და პირველ პუნქტს დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ 1^1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის შიდა მობილობის თაობაზე განცხადებების მიღება დასრულდეს 2018 წლის პირველ აგვისტოს 18^{00} საათზე".

2. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (ნ. ჩიხრაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას.

3. დაევალოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა და პროტოკოლის სამსახურს (თ. სტეფანიშვილი) წინამდებარე ბრძანების განთავსება თსსუ-ის ვებგვერდზე.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება დაეგზავნოთ: ვიცე-რექტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მედიცინის, ფარმაციისა,

სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსს.

6. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი